სკოლის დასახელება	სსიპ ტყიბულის სოფ. ხრესილის საჯარო სკოლა
მასწავლებელი	ფოფხაძე მზია პ/ნ 41001022868
ნაწყვეტი წიგნიდან	„ძმები ლომგულები“
სწავლების საფეხური/კლასი	I საფეხური / VI კლასი
მისაღწევი შედეგები	მოსწავლემ უნდა შეძლოს : • ტექსტის გაგება-გააზრება, • აღწერილი პრობლემის განალიზება, • პრობლემის გამომწვევი მიზეზისა და გადაჭრის გზების ძიება-აღმოჩენა, • ორიგინალური თხზულების შექმნა, • საკუთარი დამოკიდებულების გამოვლენა ფაქტისადმი და მისი ემოციურად შეფასება(აღწერა) შერჩეული ლექსიკის გამოყენებით.
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეს შეუძლია ანტონიმების მოძიება,მოთხრობაში წამოჭრილი პრობლემის აღმოჩენა და მისი აღმოფხვრის გზების მოძიება,შესაფერილი ლექსიკის გამოყენებით ორიგონალური თხზულების დაწერა.
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო(შეგიძლიათ არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილითდა აქტივობის განხორციელებისათვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ,თუმცა დეტალურად გაწერა არაა საჭირო)	1 აქტივობა- **T** დიაგრამა- დრო 10 წუთი **2 აქტივობა - 1, 2, 3,, -დრო 20 წუთი** **3 აქტივობა** - დაფიქრდი, დაწერე ,დახატე... 20 წუთი
აქტივობა 1 **T** დიაგრამა	<table><tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr></table> მიზანი: პროვოცირება, მოსწავლემ შეძლოს: • ანტონიმური წყვილების პოვნა, • ორი განსხვავებული პერსონაჟის გაცნობა. (წაუკითხავად) აღწერა:მოსწავლეებს მასწავლებელი მხოლოდ სათაურს წაუკითხავს,შეახსენებს ანტონიმებს და ეუბნება ,რომ მოთხრობაში საუბარია განსხვავებული გარეგნობის, ხასიათებისა და თვისებების მქონე ორ ძმაზე.მასწავლებელი დაურიგებს მოსწავლეებს წინასწარ შექმნილ **T** დიაგრამას **(<u>დანართი *N 1)*</u>** .ერთ მხარეს ჩამოწერილია სიტყვები,რომლითაც ხასიათდება მოთხრობის ერთი პერსონაჟი.მოსწავლეებმა უნდა შეუსაბონ სიტყვებს ანტონიმები.სამუშაოს დასრულების შემდეგ მივიღებთ ორი განსხვავებული პერსონაჟის(ძმის) მახასიათებლებს.**(5** წთ) მასწავლებელი დაფაზე აკრავს ფლიფჩატზე დაწერილ მსგავს დიაგრამას.სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები კარნახობენ მათ მიერ დაწერილ სიტყვებს. მასწავლებელი წერს ყველა ვარიანტს. ბოლოს აკეთებენ ერთობლივად სქემის ანალიზსს ახასიათებენ და არქმევენ სახელს დიაგრამაში ძმებს. **(5 წთ)** P.S.ამ აქტივობას დავუბრუნდებით მოთხრობის წაკითხვის შემდეგ,მოსწავლეები შეძლებენ თითოეულ პერსონაჟს დაამატონ მახასიათებლები...

<table>
<tr>
<td>აქტივობა 2
1,2,3.</td>
<td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr>
</table>
მიზანი: მოსწავლემ შეძლოს:
• ახლად წაკითხული ინფორმაციის გააქტიურება,
• წაკითხულის შესახებ მოსაზრების შეჯამება,
• ტექსტში წამოჭრილი პრობლემის გაანალიზება,მოძებნა,
• არსებული პრობლემის გადაჭრის გზების აღმოჩენა.

აღწერა:მასწავლებელი ჩამოურიგებს მოსწავლეებს ერთ ყვითელ, ორ წითელ და სამ მწვანე ფურცელს,აგრეთვე წინასწარ ამობეჭდილი მოთხრობის ნაწყვეტს: <u>თავიდან, ვიდრე... ,,რატომ უნდა ეწეროს სიკვდილი ადამიანს ,რომელიც ჯერ 10 წლისაც არ გამხდარა“,,...</u> (**5** წთ) სთხოვს მათ წაიკითხონ ეს ნაწყვეტი და კითხვების შესაბამისად დაწერონ პასუხები ფერად ფურცლებზე. (<u>დანართი N 2)</u> **(10** წ თ)
განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ მოსწავლეები გამოდიან ,აკეთებენ თავიანთი ნაწერების პრეზენტაციას და თან ამაგრებენ ფერად ფურცლებს მათთვის განკუთვნილ ადგილას.(ერთ ყვითელს- პირველ უჯრაში; ორ წითელს -მეორე უჯრაში და სამ მწვანეს- მესამე უჯრაში.||) **(5** წთ)
მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს ,,იმისათვის ,რომ გავიგოთ რა გზა აირჩია ჯონათანმა,გთხოვთ გულდასმით წაიკითხეთ ნაწყვეტი“ და არიგებს წინასწარ ამობეჭდილი მოთხრობის ნაწყვეტს **,,რომელიც ჯერ 10 წლისაც არ გამხდარა“-... ,,თურმე ყველა ზღაპარი ნანგიალაში იბადება..“აბზაცის** ჩათვლით... **(5წთ)**
მოსწავლეები ამ ნაწყვეტის წაკითხვის შემდეგ მიდიან დასკვნამდე,რომ სიტყვას უდიდესი ძალა აქვს...არქმევენ სახელებს ძმებს T დიაგრამაში და აფასებენ ჯონათანის საქციელს, (ალბათ დაამატებენ ჯონათანის გრაფაში:კეთილი, ენაწყლიანი...).
</td>
</tr>
<tr>
<td>აქტივობა 3`

დაფიქრდი,დაწერე, დახატე.</td>
<td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr>
</table>
მიზანი: მოსწავლემ შეძლოს:
• დაწეროს ორიგინალური თხზულება,
• შესაფერისი ლექსიკური საშუალებების გამოყენებით შეაფასოს ,აღწეროს ფაქტი და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება.

აღწერა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ,წარმოიდგინონ და აღწერონ ნანგიალა, იქ არსებული საოცარი ამბები,ბინადრები...და დაწერონ თხზულება,**,,ერთი არაჩვეულებრივი დღე ნანგიალაში“.** (**10**წთ)
შემდეგ დახატონ მათთვის საინტერესო ეპიზოდი.(10წთ)
</td>
</tr>
</table>

<u>დანართი</u> **N 1**

ჯონათანი კარლი

სულელი

უშნო

მშიშარა

მობრეცილფეხებიანი

ავადმყოფი

სევდიანი

დანართი **N 2**

დაწერე 1 რამ რისიც ეშინია პატარა ძმას.	
დაწერე ამ შიშის გამომწვევი **2 მიზეზი.**	**1 მიზეზი:** **2 მიზეზი:**
წარმოიდგინე თავი ჯონათანის ადგილას. დაწერე 3 გზა, რომლითაც შეძლებდი შენი ძმის დახმარებას, შ ე უ მ ს უ ბ უ ქ ე ბ დ ი სიკვდილის შიშს, აღმოფხვრიდი ამ პრობლემას.	**1 გზა :** **2** გზა: **3** გზა:

შეფასების რუბრიკა:

	საუკეთესო	კარგი	საშუალო	გასაუმჯობესებელი
ანტონიმური წყვილის შერჩევა	ზუსტად შეარჩია ყველა ანტონიმი	**1-2** სიტყვა შეარჩია არაზუსტი ანტონიმით.	შერჩეული ანტონიმების უმეტესობა არაზუსტია და 2-3 საერთოდ ვერ შეარჩია	საერთოდ ვერ შეარჩია ანტონიმები.
მოთხრობაში წამოჭრილი პრობლემის აღმოჩენა , მისი გამომწვევი მიზეზების პოვნა და გადაჭრის გზების მოძიება.	სწორად აღმოაჩინა მოთხრობაში პრობლემა,იპოვა სწორად მიზეზები,და სამივე გზა მოიძია.	სწორად აღმოაჩინა მოთხრობაში პრობლემა,იპოვა ერთი მიზეზი,და ორი გზა მოიძია.	სწორად აღმოაჩინა მოთხრობაში პრობლემა,იპოვა ერთი მიზეზი და ერთი გზა .	აღმოაჩინა მოთხრობაში პრობლემა, იპოვა ერთი მიზეზი,ან მოიძია ერთი გზა.
წერს ორიგინალურ თხზულებას, შესაფერისი ლექსიკური საშუალებების გამოყენებით აღწერს ფაქტს.	სანიმუშოდ დაწერა ორიგინალური თხზულება შესაფერისი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით,აღწერა ფაქტი.	დაწერა ორიგინალური თხზულება,მწირი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. შეეცადა ფაქტის აღწერას.	დაწერა თხზულება მზირი ლექსიკური ენით.	ვერ დაწერა თხზულება,და ვერ აღწერა ფაქტი.